უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს აკადემიის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, ამ დებულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო ფუნქციებით.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიის წესდებით და სხვა სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციების ფარგლებში ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორსა და ზედამხედველი (კურატორი) პრორექტორის წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის დანიშნულება, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

ცენტრის დანიშნულებას, ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს შემდეგი:

ა) სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზება;

ბ) აკადემიის რესურსის გათვალისწინებით, ფართო საზოგადოებისთვის სხვადასხვა სახელოვნებო კურსის დაგეგმვა და განხორციელება;

გ) აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცენტრში ინკლუზიური სწავლების დანერგვა, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უნარშეზღუდული პირების განვითარებაში, დასაქმებასა და სოციალურ ინტეგრაციაში;

დ) სხვადასხვა სფეროში სასერტიფიკატო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების განხორციელება;

ე) პარტნიორული ურთიერთობის გაფართოვება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე;

ვ) ცენტრის ბაზაზე საზაფხულო სკოლის შექმნა;

ზ) დისტანციური სწავლების განვითარება.

მუხლი 3. ცენტრის საქმიანობის სფერო

თავისი საქმიანობის ფარგლებში ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ბიზნესის სექტორთან, ადგილობრივი თვითმმართველობის, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უწყვეტი განათლების პროგრამების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრას და შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;

ბ) უწყვეტი განათლების პროგრამების ადმინისტრირებას,მათი შემუშავებისა და დამტკიცების კოორდინირებას, პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოძიებას;

გ) მსმენელების ჩარიცხვას უწყვეტი განათლების პროგრამებზე, სერტიფიკატების დამზადებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, მათ გაცემასა და სათანადო აღრიცხვის წარმოებას;

დ) უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოებას;

ე) აკადემიის ხელმძღვანელობასთან და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობას, მათთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

ვ) აკადემიის პერსონალის პროფესიული საჭიროებების შესახებ გამოკითხვების წარმოებასა და მათთვის შესაბამისი ტრენინგების/კურსების ორგანიზებას;

ზ) აკადემიისა და ზოგადად საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებას, უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი ჩართვის შესაძლებლობების შესახებ;

თ) კონტაქტების დამყარებას უცხოურ უნივერსიტეტებთან, დონორ ორგანიზაციებთან, ფონდებთან და სხვა ორგანიზაციებთან;

ი) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასერტიფიკატო პროგრამების მომზადების ორგანიზებას და მასწავლებლებისათვის შეთავაზებას;

კ) აბიტურიენტებისათვის აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების მოსამზადებელი კურსების შეთავაზებას.

მუხლი 4. ცენტრის ანგარიში

ცენტრის წლიური მუშაობის ანგარიში წარედგინება აკადემიის რექტორს, კალენდარული წლის დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს აკადემიის რექტორი.
2. ცენტრის სხვა პერსონალი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება აკადემიაში პერსონალის მიღებისთვის დადგენილი წესით, ვაკანტური პოზიციის შევსების საჭიროების შესახებ ცენტრის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე.
3. ცენტრს შესაძლოა ყავდეს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობსა და შტატგარეშე პოზიციებზე გამწესებული თანამშრომლები რომელთა შრომის პირობები და ანაზღაურება განისაზღვრება აკადემიის ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს ცენტრის მუშაობას, უზრუნველყოფს შრომის აუცილებელი პირობების შექმნას, იღებს ზომებს თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;

ბ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) იხილავს და ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტაციის ვიზირებას;

ე) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპოდენციებს და თავისი კომპენტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს;

ვ) ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ აკადემიის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ზ) არყოფნის შემთხვევაში, აკადემიის რექტორს წარუდგენს დროებით მოვალეობის შემსრულებელს;

თ) აკადემიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებითა და კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

ი) პასუხისმგებელია ცენტრის მიერ განხორციელებულ სასწავლო აკადემიურ საქმიანობაზე;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იცავს აკადემიის წესდებას, ცენტრის დებულებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს;

ცენტრის სხვა თანამშრომელი:

ა) განიხილავს ცენტრში შემოსულ საგანმანათლებლო წინადადებებს და ამზადებს მათ, ცენტრის ხელმძღვანელის მიერ აკადემიურ საბჭოზე წარსადგენად, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს კურსი;

ბ) კვლევის საფუძველზე მოიძიებს შესაბამისი კურსების განმახორციელებელ სპეციალისტებს;

გ) მონაწილეობას იღებს კურსების განხორციელების ორგანიზებაში;

დ) ახდენს ცენტრის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსების მონიტორინგს.

მუხლი 6. ცენტრის მიერ პროგრამების განხორციელების წესი

ცენტრის მიერ პროგრამების განხორციელება ფასიანია და ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, რექტორის ბრძანებით, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წინამდებარე დებულების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მისი მოწონებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 8. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკციდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.